ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 280

ბორჯომი 08 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ **თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი**, მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქ. #5, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961 (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით

და მეორეს მხრივ ***შპს "მეგა მშენებელი",*** მისამართი: ბორჯომი, სააკაძის ქ. #20, საიდენტიფიკაციო კოდი 426112280 (შემდგომში `მიმწოდებელი~) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გუმბერიძის სახით

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის (გადაუდებელი აუცილებლობა) და მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა **ქ. ბორჯომში სააკაძისა და 300 არაგველის ქუჩებზე გზის გამყოლი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების** (CPV-45262620, SMP 160002129) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგი თანხით: **24371** (ოცდაოთხი ათას სამას სამოცდათერთმეტი) **ლარი 00 თეთრი დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება")

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ~ (შემდგომ _ `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი~ ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქ. ბორჯომში სააკაძისა და 300 არაგველის ქუჩებზე გზის გამყოლი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოების** შესყიდვა;

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხალშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 24371 (ოცდაოთხი ათას სამას სამოცდათერთმეტი) ლარს 00 თეთრს, 300 არაგველის ქუჩაზე - 10930 ლარს, სააკაძის ქუჩაზე - 13441 ლარს;

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების და წუნდების მიზეზების მითითებით;

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

„შემსყიდველი"---------- „მიმწოდებელი"----------

4.4. მიმწოდებელმა სამუშაოს შესრულებისას ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;

4.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება.

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **20 (ოცი) კალენდარული დღის** ვადაში.

5.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება უნდა დაიწყოს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში;

5.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი" გაწეული სამუშაოს მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

6.2 შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების ეტაპების დასრულებამდე ერთი კვირით ადრე მიმწოდებლის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება ახდენს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხერვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც ფორმდება შესაბამისი აქტით.

6.3 შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილების მეშვეობით შემსყიდველის მიერ შემუშავებული სამუშაოების დამთავრებული ეტაპის შუალედური მიღების აქტის საფუძველზე.

6.4 ეტაპების მიხედვით შესრულებული სამუშაოების შუალედური მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა N2 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.5 შესყიდვის ობიექტზე სამუშაოების დასრულებით და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ვადის გასვლის შემდეგ, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განყოფილება, დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით ობიექტის დამთავრების აქტის გაფორმებით ახდენს შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება - ჩაბარებას.

7. გარანტია

7.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა არის 3 (სამი) წელი ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

8.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების ფაქტიურად გაწეული დანახარჯების მიხედვით (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის ბრძანება #55 "სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ"), რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ყველა გაწეული ხარჯის შესაბამისი სასაქონლო ზედნადები ან/და ანგარიშ-ფაქტურა.

8.4 მიმწოდებელთან შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2-ს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.5 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიმწოდებელი თანახმაა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულების

ანაზღაურებამდე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ მიმართულ იქნეს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე, რის შემდეგაც მომწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

8.6 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, წინასწარი ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსად გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვარი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ს. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადას;

8.7 შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებიდან 50%-ის ოდენობით, ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე;

9. ფასები

9.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

9.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. ქვეკონტრაქტორები

12.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ქვეკონტრაქტის დადების ან ქვეკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.3 ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, მიწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი და ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

12.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება–მოვალეობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.

14.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

14.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

14.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

15.2 სამუშაოების დაწყების 2 (ორი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

15.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

15.4 ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით

15.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

15.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

16.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევაში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სამჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების საბოლოო შესრულების ვადის 7 (შვიდი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. ფორს-მაჟორი

17.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

17.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18. დაუძლეველი ძალა

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

18.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია

დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

18.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2 მხარეები უარს აცხადებენ დავის გაგრძელებაზე სასამართლოში ან/და საარბიტრაჟო ინსტანციაში. დავასთან დაკავშირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს ეძლევა უფლება მიმართოს სააღსრულებო დაწესებულებას (როგორც კერძო აღმასრულებელს, ასევე ეროვნული აღსრულების ბიუროს) ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებული იქნება შემსყიდველის მიერ.

20. გამოყენებული სამართალი

20.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

24.2. ხელშეკრულების მე-7 მუხლი ძალაშია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

24.3. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თვითმმართველი ერთეული	შპს "მეგა მშენებელი"
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	მისამართი: ბორჯომი, საკაძის ქ. #20
მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ.№5	საიდენტიფიკაციო კოდი 426112280
საიდენტიფიკაციო კოდი 226161961	ს.ს. „თიბისი ბანკი„ ს/ჯ ფილიალი
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,	ბანკის კოდი TBCBGE22
სახაზინო კოდი 300629921, ბანკის კოდი TRESGE22	ა/ანგ № GE39TB7822736050100001
ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები	
ბორჯომის თემი	

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- დ. ყიფიანი

ბ. ა.

„შემსყიდველი“----------

დირექტორი

---------- გ. გუმბერიძე

ბ.ა.

„მიმწოდებელი“----------